ROMAN WORLD IN THE COLLECTION OF HISTORICAL ESSAYS FROM "LIFE OF KARTLI"
რომაული სამყარო საისტორიო თხზულებათა კრებულში -„ქართლის ცხოვრება“

Tamar Kutaladze

Batumi Shota Rustaveli State University
PhD student in the Department of History, Archeology and Ethnology,
Batumi, Nonoshvili st, 32/35, Georgia,
ORCID: 0000-0003-2775-0306
+99592655655, Kutaladze70@mail.ru

Abstract

The study of the history of ancient Rome has a tradition of more than two centuries in Georgian historiography. Nevertheless, no general paper has been written on the issues of source studies and historiography. In addition to translating the works of several Latin historians, the focus in historiography was on translating and publishing sources on Roman-Georgian relations.

In the era of feudal Georgia, ancient Rome was reflected in the chronicle of the "Life of Kartli" however, we do not find a separate "History of Rome" in the works and the authors mention Rome only through the context of Georgia. This is not surprising, since until the XIX century, no special work was created in Georgia, which was specifically dedicated to world history, and the only source on the history of Georgia was the "Chronicle of the Life of Kartli."

In the article we will try to convey based on the works, the history of Rome, to create a clear idea of the Roman world.

The collected and analyzed material shows that the information about the history of ancient Rome in "Life of Kartli" is scarce and does not allow us to create a complete picture of the history of the state. However, factual errors are also common.

Keywords: Roman Empire, "Life of Kartli", Source studies, Feudal Georgia, Leonti Mroveli, Macedonian.

თამარ კუტალაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის დოქტორანტი,
ქ..ბათუმი, ნინოშვილის ქ.32/35,საქართველო
ORCID: 0000-0003-2775-0306
+99592655655, Kutaladze70@mail.ru

აბსტრაქტი

ძველი რომის ისტორიის შესწავლას ქართულ ისტორიოგრაფიაში ორ საუკუნეზე მეტი ხნის ტრადიცია აქვს. მიუხედავად ამისა, წყაროთმცოდნეობის და ისტორიოგრაფიის საკითხების შესახებ განმაზოგადებელი ნაშრომი არ დაწერილა. რამდენიმე ლათინი ისტორიკოსის თხზულების თარგმნის გარდა ისტორიოგრაფიაში აქცენტი გადატანილი იყო რომაულ-ქართული ურთიერთობების ამსახველი წყაროების თარგმნა-გამოცემაზე.

ფეოდალური საქართველოს ხანაში ანტიკური რომი „ქართლის ცხოვრების“ ქრონიკაში აისახებოდა, თუმცა, ცალკე განყენებულ „რომის ისტორიას“ თხზულებაში არ ვხვდებით და ავტორებს რომი მხოლოდ საქართველოს კონტექსტის გავლით აქვთ ნახსენები. ეს გასაკვირი არცაა, ვინაიდან ვიდრე XIX საუკუნემდე, საქართველოში არ შექმნილა სპეციალური ნაშრომი, რომელიც კონკრეტულად მსოფლიოს ისტორიას მიეძღვნებოდა და საქართველოს ისტორიის შესახებაც ერთადერთი წყარო სწორედ „ქართლის ცხოვრების ქრონიკა“ იყო. სტატიაში შევეცდებით თხზულებაზე დაყრდნობით გადმოვცეთ როგორ იქმნებოდა წარმოდგენა რომის ისტორიასა და რომაულ სამყაროზე.

შეკრებილი და გაანალიზებული მასალა ცხადყოფს, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ ანტიკური რომის ისტორიის შესახებ ცნობები მწირია და სახელმწიფოს ისტორიის სრული სურათის შექმნის შესაძლებლობას არ გვაძლევს. ამასთან, ხშირად ვხვდებით ფაქტოლოგიური ცდომილებებიც.

საკვანძო სიტყვები: რომის იმპერია, ,,ქართლის ცხოვრება“, წყაროთმცოდნეობა, ფეოდალური ხანის საქართველო, ლეონტი მროველი, მაკედონელი

შესავალი

ძველი რომის ისტორიის შესწავლას ქართულ ისტორიოგრაფიაში ორ საუკუნეზე მეტი ხნის ტრადიცია აქვს, თუმცაღა წყაროთმცოდნეობის და ისტორიოგრაფიის საკითხების შესახებ განმაზოგადებელი ნაშრომი არ დაწერილა. ისტორიოგრაფიაში აქცენტი უმეტესად გადატანილი იყო რომაულ-ქართული ურთიერთობების ამსახველი წყაროების თარგმნა-გამოცემაზე. გამონაკლისია მხოლოდ რამდენიმე ლათინი ისტორიკოსის თხზულების თარგმნი.

წარმოდგენილ სტატიაში მიზნად დავისახეთ განგვეხილა და გაგვეანალიზებინა რომაული სამყაროს შესახებ „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ცნობები. მოგეხსენებათ, ვიდრე XIX საუკუნემდე, საქართველოში არ შექმნილა სპეციალური ნაშრომი, რომელიც კონკრეტულად მსოფლიოს ისტორიას მიეძღვნებოდა და საქართველოს ისტორიის შესახებაც ერთადერთი წყარო სწორედ „ქართლის ცხოვრების ქრონიკა“ იყო. სტატიაში შევეცდებით თხზულებაზე დაყრდნობით გადმოვცეთ, როგორ იქმნებოდა წარმოდგენა რომის ისტორიასა და რომაულ სამყაროზე.

მეთოდი

წარმოდგენილ საკითხზე მუშაობისას გამოვიყენე და სტატიაში წარმოვაჩინე შედარებით-ისტორიული, რელევანტური წერილობითი წყაროები. შევეცადეთ ობიექტურობისა და სისტემატურობის პრინციპების დაცვით, ახალი ასპექტების წარმოჩენითა და შესაბამისი არგუმენტებით შეგვესწავლა ის პრობლემატური საკითხები, პარალელები და შესაბამისი კონტექსტი, რომლებიც, ჩვენი აზრით, წარმოჩენილია იმ მეცნიერთა შრომებში, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად ეხებიან ამ საკითხს.

შედეგები

კვლევის შედეგად შეკრებილი და გაანალიზებული მასალა ცხადყოფს, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ ანტიკური რომის ისტორიის შესახებ ცნობები თუმცაღა მწირია და სახელმწიფოს ისტორიის სრული სურათის შექმნის შესაძლებლობას არ გვაძლევს, მაგრამ მიუხედავად ამისა ქართული საისტორიო მწერლობაში დაცულია ცნობები რომაული სამყაროს შესახებ. თვალსაჩინოა ასევე ის გარემოება, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ რომაული პერიოდის ამსახველი ცნობები ხშირად შეიცავს ფაქტობრივ ცდომილებებსაც, რისი თქმის საშუალებასაც ქვემოთმოყვანილი სტატიაში წარმოდგენილი მასალა გვაძლევს.

დისკუსია

როგორც აღვნიშნეთ, ფეოდალური საქართველოს ხანაში ანტიკური რომი აისახებოდა „ქართლის ცხოვრების“ ქრონიკაში, თუმცა, როგორც ასეთ, ცალკე განყენებულ „რომის ისტორიას“ „ქართლის ცხოვრებაში“ არ ვხვდებით და ავტორებს რომი მხოლოდ საქართველოს კონტექსტის გავლით აქვთ ნახსენები. ეს გასაკვირი არცაა, ვინაიდან ვიდრე XIX საუკუნემდე, საქართველოში არ შექმნილა სპეციალური ნაშრომი, რომელიც კონკრეტულად მსოფლიოს ისტორიას მიეძღვნებოდა და საქართველოს ისტორიის შესახებაც ერთადერთი წყარო სწორედ „ქართლის ცხოვრების ქრონიკა“ იყო. შესაბამისად, მხოლოდ „ქართლის ცხოვრებით“, შეუძლებელია რომის ისტორიაზე, რომაულ სამყაროზე წარმოდგენის შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ მასში გარდა რომისა, ზოგადად გარე სამყარო ნაკლებადაა ნახსენები, „ქართლის ცხოვრება“ იყო სამაგიდო წიგნი და მის მეშვეობით ხდებოდა საქართველოს ისტორიის და გარე სამყაროს გაცნობა“ (სურგულაძე 2013ა: 216).

„ქართლის ცხოვრებაში“ ანტიკური რომის ისტორიის შესახებ ცნობები მწირია და სახელმწიფოს ისტორიის სრული სურათის შექმნის შესაძლებლობას არ გვაძლევს. ამასთან, ხშირია ფაქტოლოგიური ცთომილებებიც. რომაული სამყარო ნახსენებია „მეფესთან შედარების მომენტში ან რაიმე ფაქტთან დაკავშირებით... საეკლესიო რეფორმის თაობაზე საუბრისას, დავით აღმაშენებელი შედარებულია კონსტანტინე დიდთან: „და ესეცა მიმსგავსებულად დიდისა კონსტანტინესა აღასრულა მეფემან დავით“ (ქართლის ცხოვრება 1955: 328); ანდა „მიიღო მადლი მოციქულობისა, ვითარცა პავლე და ვითარცა დიდმან

კონსტანტინე“ (ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი)“ (სურგულაძე 2013ა: 216). დავითი ზოგ ადგილას შედარებულია ალექსანდე მაკედონელთან და ამ შედარების დროს რომსაც ვხვდებით – ალექსანდრემ, „რამეთუ პირველად მამულისა თჳისანი შეკრიბნა და მით დაიპყრნა დასავლისანი ევროპი, იტალია, რომი და აფრიკეთი...“ (ქართლის ცხოვრება 1955: 358) და ავტორი შემდეგ აგრძელებს, „თუმცა დავითს სპარსთა ჰქონებოდა მეფობა, ანუ ბერძენთა და ჰრომთა ძალი, ანუ სხუათა დიდთა სამეფოთა, მაშინმცა გენახნეს ნაქმარნი მისნი, უაღრესნი სხუათა ქებულთანი“ (ქართლის ცხოვრება 1955: 359).

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანში“ გიორგი III შედარებულია კონსტანტინე დიდთან.

ბასილი ეზოსმოძღვარი თამარის საქმიანობას სასულიერო კუთხით აგრეთვე კონსტანტინეს ადარებს – ხოლო სჯულთათჳს სულითთა მეორე კოსტანტინე იქმნებოდა და მისებრვე ჰგოროვნებდა დაწყებასა საღმრთოსა საქმეთასა...“ (ქართლის ცხოვრება 1959: 117).

ჟამთააღმწერელი ჯალალ-ედ დინის მიერ თბილისის აოხრებას ადარებს ვესპასიანესა და ტიტუსის მიერ იერუსალიმის აღებას: „და ესევითარნი ჭირნი მოიწივნეს, რომელ არაოდეს ძუელთა სადამე წიგნთა მიერ სმენილ არს, რომელნი თანა-შეესწორებიან ქრისტეს ჯუარისა მცმელთა იუდიანთა ზედა ქმნულთა მიერ იერუსალიმისა სრულიადსა მოსჴოლვასა ტიტეს და უესპასიანეს მიერ...“ (ქართლის ცხოვრება 1955: 176).

ქართლის ცხოვრების ტექსტუალურ მასალებზე დაყრდნობით, ლეონტი მროველის თხზულებაში „ცხოვრება ქართველ მეფეთას“ მესამე თავში, ავტორი ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ლაშქრობაზე საუბრობს, შემდეგ რამეს წერს: „...და მისცა ასი ათასი კაცი ქუეყანათ ჰრომით, რომელსა ჰქჳან ფრო|ტათოს. ესე ფროტათოსელნი იყვნეს კაცნი ძლიერნი და მჴნენი, და ელორთებპდეს ქუეყანასა ჰრომისასა“ (ქართლის ცხოვრება 1955: 18). აქ საუბარია იმაზე, რომ ალექსანდრე მაკედონელმა აზონს, რომელიც მან აქ ქვეყნის სამართავად დატოვა, ჩააბარა ჯარიც – ფროტათოსელნი. სხვას რომ თავი დავანებოთ, გაუგებარია, თუ რატომ თვლის/იხსენიებს ლეონტი მროველი აზონისათვის დატოვებულ ჯარისკაცებს რომაელებად (იმავეს იმეორებენ შემდგომში ვახუშტი და თეიმურაზ ბატონიშვილები, ამ საკითხს ჩვენ ქვემოთ შევეხებით). ის ფაქტი, რომ ქართლის ცხოვრებაში ნახსენები ჰრომის/ჰრომნ უნდა ნიშნავდეს რომს/რომაელებს, დღესდღეობით, ქართულ სამეცნიერო სივრცეში დადგენილი ფაქტია. აქედან გამომდინარე გაურკვეველია რომაელთა ხსენება ალექსანდრე მაკედონელის თანადროულად. ამასთან უნდა შევნიშნოთ ის ტენდენციაც, რომ თავდაპირველად საბერძნეთი საბერძნეთს აღნიშნავს, შემდეგში კი საბერძნეთით ძირითადად რომის სახელმწიფოს აღნიშნავენ (მოგვიანო პერიოდისთვის კი უკვე ბიზანტიას).

აქვე უნდა შეინიშნოს, რომ მეორე წყარო, რომელიც ამ პერიოდზე გვაწვდის ინფორმაციას, „ქართლის მოქცევა“, აზო(ნი)ს შესახებ სხვა ვერსიას გვაწვდის: „ხოლო ესე აზოჲ წარვიდა არიან-ქართლად, მამისა თჳისისა, და წარმოიყვანა რვაჲ სახლი და ათნი სახლნი მამა-მძუძეთანი და დაჯდა ძუელ მცხეთას, და თანაჰყვანდეს კერპნი ღმრთად: გაცი და გა“ (ქართლის მოქცევა 2009: 38). როგორც ამ მონაკვეთიდან ჩანს, აზო(ნი)სთვის ალექსანდრე მაკედონელს არავითარი ჯარი არ დაუტოვებია. „მოქცევაი ქართლისაის აზოს პიროვნების მორგების საჭიროებამ „მეფეთა ცხოვრების“ კონცეფციასთან ქართველთა ავტოქტონობისა და მათი პირველი, ადგილობრივი მეფის ფარნავაზის შესახებ „მეფეთა ცხოვრების“ ავტორი (თუ რედაქტორი) აიძულა, აზო „მაკედონელი“ აზონით, ხოლო აზოს თანამემამულეები არიან-ქართლიდან – აზონის თანმხლები „რომაელი ჯარისკაცებით“ – „ფროტათოსელებით“ შეეცვალა“ (ქავთარაძე 2009: 41).

ამასთან, როგორც ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თანამედროვეობაში ანტიკურობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მკვლევარი, გრანი ქავთარია აღნიშნავს, „მოქცევაი ქართლისაიში“ დადებითად დახატული აზო „ცხოვრება ქართველთ მეფეთამ“ უბოროტეს პიროვნებად დაახასიათა“ (ქავთარია 2018: 20). ცხადია, ეს ყველაფერი პოლიტიკური, იდეოლოგიური მოტივით იყო განპირობებული, რაც მორგებული იყო ლეონტი მროველის თანადროულ პოლიტიკურ სიტუაციას. საჭირო იყო ერთიანი, უწყვეტი ჯაჭვის შექმნა, ფარნავაზის, როგორც განმათავისუფლებელის წარმოჩენა.

როგორც ჩანს, აქ საქმე პერიოდების აღრევასთან უნდა გვქონდეს, ვინაიდან რომი ამიერკავკასიაში მას შემდეგ აქტიურდება, რაც ისინი მითრიდატულ ომებს წარმატებით ამთავრებენ, ე. ი. ძვ. წ. 60-იანი წლების მეორე ნახევარში. ერთი კი შესამჩნევი ფაქტია, რომ „ქართულმა მატიანეებმა ვერ შემოინახეს ამიერკავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში რომაელთა ინტენსიური აქტიურობის შესახებ ცნობები, არადა რომაელთა კავკასიური პოლიტიკის შესახებ ინფორმაციას უხვად გვაწვდიან ბერძნული და რომაული წერილობითი წყაროები“ (ქავთარია 2018: 20).

აქვე უნდა გაესვას ხაზი იმ ფაქტს, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ მეფე არტაგზე საუბრისას არც კი იხსენიებიან რომაელები. არადა, რომაელთა სარდალი გნეუს პომპეუსი სწორედ მეფე არტაგის/არტოკის ზეობის დროს შემოდის ქართლში და დებს ზავს მასთან.

იმ დროს, როდესაც პოლიტიკურ სარბიელზე ფარნავაზი გამოდის და ტახტის დაკავებას და აზონის ჩამოგდებას ცდილობს, ლეონტის რომაელები ფარნავაზის მხარეს მებრძოლ ძალად წარმოუდგენია – „მაშინ ათასი მჴედარი რჩეული ჰრომთა მათგანი, რომელთა ბოროტი წაჰკიდებოდა აზონისაგან, განუდგეს აზონს და მოვიდეს წინაშე ფარნავაზისა...“ (ქართლის ცხოვრება 1955: 23). აზონის ჯარში კი ბერძნებს მოიხსენიებს – „ხოლო წელსა მეორესა აზონ მოირთნა სპანე საბერძნეთთ, განძლიერდა ფრიად და მომართა ფარნავაზს“ (ქართლის ცხოვრება 1955: 23). ცხადია, აქ საქმე გარკვეულ ცთომილებასთან გვაქვს.

ერთი რამ უცილობელი ფაქტი უნდა იყოს, კერძოდ ის, რომ ორივე მხარე – აზონიც და ფარნავაზიც – ცდილობდნენ დახმარება საგარეო მოკავშირეებისაგან მიეღოთ. პირველი მათგანი დახმარებას პონტოს სამეფოსგან ელოდა, ფარნავაზი კი პონტოს მეტოქეს, სელევკიდების სამეფოს დაუკავშირდა: „ამან ფარნავაზ წარავლინნა მოციქულნი წინაშე მეფისა ანტიოქოს ასურასტანისა, და წარსცა ძღუენი დიდძალი. და აღუთქა მას მსახურება, და ითხოვა მისგან შეწევნა ბერძენთა ზედა“ (ქართლის ცხოვრება 1955: 23). თუ გავითვალისწინებთ, რომ რეგიონში ერთმანეთის მეტოქეებად სელევკიდებისა და პონტოს სამეფოები გვევლინება და ანტიოქოსი სელევკიდთა მეფეა, „შეწევნა ბერძენთა ზედა“ პონტოელთა წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებად უნდა მივიჩნიოთ.

ზოგადად, აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ ლეონტი მროველთან რომი თავიდანვე მცდარად შემოდის. ივანე ჯავახიშვილი თავად ავტორზე შენიშნავდა: „ლეონტი მროველმა იმ საკითხს, რომლის გამოკვლევაც იკისრა, ვერ სძლია, ვერც საკმაო ცოდნა გამოიჩინა, რომ „ნათესავნი“ უცხოსაგან განერჩია... წყაროები, რომლებიც ლეონტი მროველს მოხსენებული აქვს და სარგებლობს, თითქმის ყოველგვარ ისტორიულ ღირსებას არის მოკლებული. ამიტომ მისი თხზულება, როგორც სანდო მასალა, ქართველი ხალხის უძველესი ისტორიისათვის, თითქმის სრულებით გამოუსადეგარია“ (ჯავახიშვილი 1977: 186-187).

ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაშლის შესახებ ლეონტი ამბობს: „მერმე მოიყვანნა (ალექსანდრე მაკედონელმა – თ.კ.) ოთხნი კაცნი, ტომნი მისნი, რომელი იყვნეს სახელით: ანტიოქოზ, ჰრომოს, ბიზანტიოს და პლატონ... ხოლო ჰრომოსს მისცა თრიმიკოსი, და უჩინა კერძო დასავლეთისა. და მან აღაშენა ქალაქი ჰრომი“ (ქართლის ცხოვრება 1955: 19).

ყველასთვის ცნობილი ფაქტია, რომ ალექსანდრეს იმპერია მართლაც დაიშალა ოთხ ნაწილად – ელინისტური ეგვიპტე პტოლემაიოსებით სათავეში, სელევკიდების სამეფო სელევკოსთა დინასტიით, მაკედონია და საბერძნეთი და თრაკია. მათთან ერთად იყო პონტოს სამეფოც. ამ პერიოდში, როდესაც ალექსანდრე მაკედონელის იმპერია დაიშალა და დიადოქოსების ომი დაიწყო, რომს ჯერ თავისი დაპყრობები აღმოსავლეთით არ აქვს მომართული. სიტუაცია მეორე პუნიკური ომის შემდეგ იცვლება (მეორე პუნიკური ომი დასრულდა ძვ. წ. 201 წელს და რომმა თავისი საზღვაო მეტოქე – კართაგენის სახელმწიფო საბოლოოდ დაამარცხა), როდესაც „რომმა თავისი აგრესია ბალკანეთის ნახევარკუნძულისაკენ მიმართა. ეს იყო აღმოსავლური პოლიტიკის დასაწყისი“ (ქავთარია 2016: 250). შესაბამისად, რომაელთა მოხსენიება ან ფარნავაზის, ან აზონის ლაშქარში, ცთომილებად მიგვაჩნია. ამ მხრივ გამართლებული შეიძლება იყოს ის ფრაზა, რომელსაც ლეონტი მროველთან 25-ე გვერდზე ვხვდებით – „და ვერღარა იძიეს შური ბერძენთა მის ზედა, რამეთუ უცალო იყვნეს ბერძენნი ბრძოლისაგან ჰრომთასა“ (ქართლის ცხოვრება 1955: 25). ჩვენი ვარაუდით, საქმე გვაქვს გარკვეულ პერიოდთა აღრევასთან, ვინაიდან ახლო აღმოსავლეთში რომი ძვ. წ. 190 წლამდე არ ჩანს, როდესაც გაიმართა მაგნეზიის ბრძოლა სელევკიდების სამეფოსთან. სწორედ ამის შემდეგ იმტკიცებს პოზიციებს რომი აღმოსავლეთში. აგრეთვე ზემოხსენებულ მოსაზრებას ისიც გვიმტკიცებს, რომ შემდეგში ბარტომსა და ფარნაჯომის ძე მირვანზე საუბრისას, ე. ი. ძვ. წ. I საუკუნის სიტუაციაზე, ლეონტი მროველი თურქებსა და არაბებს ახსენებს: „ესე მირვან იყო კაცი ქუელი, მჭნე, მჭედარი, და მრავალგზის გამოიცადა იგი ბრძოლასა თურქთა და არაბთასა,“ (ქართლის ცხოვრება 1955: 31-32), შესაბამისად ხალხთა თვითნებური გადასროლა სხვადასხვა პერიოდებში, ლეონტისთან ერთეული შემთხვევა არ არის.

საინტერესოა კიდევ ერთი მომენტი. ზოგადად, დღეს არსებული ცოდნით, დადგენილი ფაქტია, რომ რომაელთა და ქართველთა შორის ურთიერთობა იწყება ძვ. წ. 65 წელს, პომპეუსის ქართლში ლაშქრობით, რა დროსაც აქ არტაგი (არტოკი) მეფობს, „პირველად რომაელებმა საქართველოში ფეხი შემოდგეს 65 წელს ქრ. წ.: თავის თანამოძმეებს გზა გაუკვლია სარდალმა პომპეიუსმა, რომელიც ამ დროს მითრიდატ მეფეს ეომებოდა. მეფედ მაშინ იბერიაში არტაგი, ანუ, როგორც მას ბერძენი ისტორიკოსი დიონ კასსიოსი ეძახის, არტოკი“ (ჯავახიშვილი 1979: 205). მიუხედავად ამისა, ლეონტისთან ისე ჩანს, თითქოს რომაელები მეორე მეფის, საურმაგის დროს უკვე ახლო ურთიერთობაში არიან ქართლთან. ამასთან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეფე არტაგზე საუბრისას, ლეონტი მროველი ერთხელაც არ ახსენებს რომს. იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ ივანე ჯავახიშვილის ფრაზა – „თავის თანამოძმეებს გზა გაუკვლია სარდალმა პომპეიუსმა“, იმის დასტურია, რომ რომაელები პომპეუსამდე ქართლში არ ყოფილან და მით უფრო გასაკვირია, რომ ლეონტი რომაელთა პირველ შემოსვლას სწორად ვერ ასახელებს.

რაც შეეხება უშუალოდ ბარტომის მეფობას. სამეცნიერო ლიტერატურაში ის სხვადასხვაგვარად გვხვდება. „ს. გიორგაძე და პ. ინგოროყვა ფიქრობდნენ, რომ დიონ კასიოსის ფარნავაზ მეფე ლეონტი მროველის თხზულებაში შესულია ბრატმან/ბრაცმანის სახელით. პავლე ინგოროყვა წერს, რომ სახელ ბრაცმანის სრული ვარიანტი უნდა იყოს ბარაცმან-ავაზ, იგივე ფარსმან-ავაზ. მისი აზრით, ქართულ ონომასიკონში დამოწმებულია, რომ ერთსა და იმავე პირს მიემართებოდა სახელად როგორც ფარსმან-ავაზ, (ბრაცმან-ავაზ), ისე ფარნავაზ. გიორგი მელიქიშვილის აზრით კი ბრაცმანი და ფარნავაზი სხვადასხვა მეფეები იყვნენ“ (საქართველოს მეფეები 2007: 23-24). ასეა თუ ისე, ქრონოლოგიური კუთხით მეტად საფიქრებელია, რომ ბარტომი მართლაც ფარნავაზ II-ა, ვინაიდან ეს უკანასკნელი ძვ. წ. I საუკუნის 30-იან წლებში მეფობდა, ლეონტი კი ამ ბარტომ/ფარნავაზამდე წინა მეფედ არტაგს

იხსენიებს (საქართველოს მეფეები 2007: 23; ქართლის ცხოვრება 1955: 30), რომელიც პომპეუსის ლაშქრობის დროს, ე.ი. ძვ. წ. 65 წელს ქართლის მეფეა.

დასკვნა.

სტატიაში განხილულ მასალებზე დაყრნობით შეიძლება ვთქვათ, რომ მიუხედავად ისტორიული ვითარებიდან გამომდინარე სიძნელეებისა, რომლებთან გამკლავებაც ქართულ ფეოდალურ სახელმწიფოს უხდებოდა, ქართულ საისტორიო მწერლობაში მაინც მოიპოვება ანტიკურობის გამოძახილი: ცნობები რომის ისტორიიდან, ლიტერატურიდან, მითოლოგიიდან, ანტიკური მწერლების თხზულებები და შეხედულებები.

ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული გარემოებებისა და ფაქტების გათვალისწინებით შევეცადეთ გამოგვეკვეთა ის შუქ-ჩრდილები, რაც ამ მიმართულებით არსებობდა. თუმცა მათი შეფასებისას ყოველთვის ვცდილობდით გამოგვენახა ის „ოქროს შუალედი“, რომელიც საშუალებას მოგვცემდა გაგვეთვალისწინებინა ის ეპოქის კონიუნქტურა, რომელშიც მათ უწევდათ სამეცნიერო საქმიანობა. მიუხედავად მთელი რიგი ფაქტობრივი ცდომილებებისა, ქართული საისტორიო მწერლობა საკმაოდ აქტიურად ინტერესდება რომის ისტორიის მთელი რიგი საკითხებით.

გამოყენებული ლიტერატურა

სურგულაძე ა. (2013). *ძველი რომის ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია.* თბ.: გამომცემლობა „უნივერსალი“.

ქართლის ცხოვრება. (1955). ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ.: სახელგამი.

ქართლის ცხოვრება. (1959). ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ.: სახელგამი.

ქართლის მოქცევა. (2009). ახალ ქართულზე გადმოღებული ტექსტი და ძველი ვერსიების რედაქცია ელგუჯა გიუნაშვილისა, გამოკვლევა, მიმოხილვა და კომენტარები ვახტანგ გოილაძისა, თბ.: გამომცემლობა „უნივერსალი“.

ქავთარაძე გ. (2009). *არიან-ქართლის საკითხისათვის,* ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, IX.

ქავთარია გ. (2018). *ფარნავაზი. თბ.:* გამომცემლობა „უნივერსალი“.

ჯავახიშვილი ი. (1977). *ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა,* თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VIII. თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,

ქავთარია გ. (2016). *რომის ისტორია,* ტ. I. თბ.: თსუ გამომცემლობა.

ჯავახიშვილი ი. (1979). *თხზულებანი* თორმეტ ტომად, ტომი I. თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

საქართველოს მეფეები. (2007): რედაქტორები მარიამ ლორთქიფანიძე, როინ მეტრეველი. თბ.: გამომცემლობა „ნეკერი“.

REFERENCES

surguladze a. (2013). dzveli romis ist'oriis ts'qarotmtsodneoba da ist'oriograpia. tb.: gamomtsemloba „universali“.

kartlis tskhovreba. (1955). t'. I, t'ekst'i dadgenili qvela dziritadi khelnats'eris mikhedvit s. qaukhchishvilis mier. tb.: sakhelgami.

kartlis tskhovreba. (1959). t'. II, t'ekst'i dadgenili qvela dziritadi khelnats'eris mikhedvit s. qaukhchishvilis mier. tb.: sakhelgami.

kartlis moktseva. (2009). akhal kartulze gadmoghebuli t'ekst'i da dzveli versiebis redaktsia elguja giunashvilisa, gamok'vleva, mimokhilva da k'oment'arebi vakht'ang goiladzisa, tb.: gamomtsemloba „universali“.

kavtaradze g. (2009). arian-kartlis sak'itkhisatvis, ist'oriisa da etnologiis inst'it'ut'is shromebi, IX.

kavtaria g. (2018). parnavazi. tb.: gamomtsemloba „universali“.

javakhishvili i. (1977). ist'oriis mizani, ts'qaroebi da metodebi ts'inat da akhla, tkhzulebani tormet' t'omad, t'. VIII. tb.: tbilisis universit'et'is gamomtsemloba,

kavtaria g. (2016). romis ist'oria, t'. I. tb.: tsu gamomtsemloba.

javakhishvili i. (1979). tkhzulebani tormet' t'omad, t'omi I. tb.: tbilisis universit'et'is gamomtsemloba.

sakartvelos mepeebi. (2007): redakt'orebi mariam lortkipanidze, roin met'reveli. tb.: gamomtsemloba „nek'eri“.